



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 23

2016 წლის 21 მარტი



ხაშური

შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი“-სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 2015 წლის 28 ოქტომბრის (შემოსავლის №708, 29.10.2015წ) მომართვით შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპმა“, რომელიც ემსახურება მოსახლეობისთვის ჯანსაღი პროდუქტების მიწოდებას, ქართული პროდუქციის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკაში წვლილის შეტანას, მოგვმართა თხოვნით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 20 კვ.მ უძრავი ქონების (ს.კ 69.08.63.349) 2 წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა ბიუ-ბიუს სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის, 2016 წლის 14 მარტის № 26/05-1 აუდიტორული დასკვნის და შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპი“, -ს 2015 წლის 28 ოქტომბრის (შემოსავლის №708 , 29.10.2015წ) მომართვის გათვალისწინებით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 20.00 კვ.მ უძრავი ქონება (ს.კ 69.08.63.349) 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, იჯარის ფორმით გადასცეს შპს „ჯეო დისტრიბუშენ გრუპს“ (ს.კ 404434411).
2. უძრავი ქონების ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 160 ლარის ოდენობით.
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე